



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 431  
27/02/2018

ქალაქი ბათუმი

431-05-4-201802271028



### საწვავის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებლის მადონა დავითაძის 2018 წლის 21 თებერვლის №534-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 14 თებერვლის №358 ბრძანებით შექმნილ „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმების შესრულების მონიტორინგის კომისია“-ს მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ტრანსპორტირებისათვის გამოეყოს საწვავი 140 ლიტრის ოდენობით (მიკროავტობუსი „ფორდ ტრანზიტი“ სახელმწიფო ნომერი RB-238-RB).

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) და მერის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურმა (მ. კვირიტიძე) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები საწვავის გამოყოფის უზრუნველსაყოფად.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსს მადონა დავითაძეს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა